ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №26
2017 წლის 21 დეკემბერი

ქ. ზუგდიდი

„ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე" ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ" ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №5 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 17/11/2017, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.105.016357) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) დადგენილების პრეამბულა ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ" პუნქტის „ბ.ვ" ქვეპუნქტის და ,,დ" პუნქტის ,,დ.ე." ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის, ,,პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებულ მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის №215 დადგენილების შესაბამისად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:";

ბ) დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1 და №2 ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

დანართი №1

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირებები და თანამდებობრივი სარგოს ოდენობები

№	თანამდებობათა დასახელება	თანამდებობათა სარგოები (ლარებში)
1	საკრებულოს თავმჯდომარე	2650
2	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	2400
3	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	2000
4	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	2000
5	პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – საკრებულოს აპარატის უფროსი	2000
6	მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – განყოფილების უფროსი	1500
7	მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1200
8	მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1000
9	მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	900

დანართი №2

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხა

№	თანამდებობების/პოზიციის დასახელება	საშტატო რიცხოვნობა
	დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეული – საკრებულოს აპარატი	
1	პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – საკრებულოს აპარატის უფროსი	1
	მეორადი სტრუქტურული ერთეული - საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა განყოფილება	
2	მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი იურიდიულ საკითხთა განყოფილების უფროსი	1
3	მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	4
4	მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1
	მეორადი სტრუქტურული ერთეული - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოების საკითხთა განყოფილება	
5	მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი -საქმისწარმოების საკითხთა განყოფილების უფროსი	1
6	მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	6
7	მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	2
	მეორადი სტრუქტურული ერთეული - საკრებულოს აპარატის საფინანსო საკითხთა განყოფილება	
8	მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – საფინანსო საკითხთა განყოფილების უფროსი	1
9	მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	3
	მეორადი სტრუქტურული ერთეული – საკრებულოს აპარატის მატერიალურ-ტექნიკურ საკითხთა განყოფილება	
10	მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მატერიალურ-ტექნიკურ საკითხთა განყოფილების უფროსი	1
11	მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	2
	მეორადი სტრუქტურული ერთეული – საკრებულოს აპარატის საზოგადოებასთან, მედიასთან და არასამთავრობო სექტორთან ურთიერთობის განყოფილება	
12	მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი საზოგადოებასთან, მედიასთან და არასამთავრობო სექტორთან ურთიერთობის - განყოფილების უფროსი	1
13	მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	2
14	მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	2
15	მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	2
	სულ:	30

მუხლი 2

დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

ა) ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა

საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ივნისის №42 დადგენილება;

ბ) ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 აგვისტოს №52 დადგენილება.

მუხლი 3
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **მამუკა წოწერია**